ოქმი:**ო37.3722279001**

თარიღი:**06/10/2022**

ოქმი N 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

2022 წელი, 5 ოქტომბერი

ქ. ოზურგეთი

11.00 -12 .30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილე ტ. არუშიძე; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, ალ. ბურჭულაძე, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, გ. მდინარაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ურუშაძე, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე-ნ. გოლიაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 45 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 30-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 30-ხმით.

საკითხების განხილვის დაწყებამდე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თ. ნიკოლაშვილმა ითხოვა სტყვა- სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ განუცხადა, რომ საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ, ისევე როგორც სხვებს, მასაც მიეცემოდა სიტყვით გამოსვლის უფლება, რასაც არ

დაეთანხმა იგი, დაიწყო სხმამაღალი საუბარი იმაზე, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანხები იხარჯება არამიზნობრივად, რასაც მოყვა ხმაური, სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ სიტყვიერად გააფრთხილა თ. ნიკოლაშვილი, რომ ხმაურის გაგრძელების შემთხვევაში დაატოვებინებდა სხდომათა დარბაზს.

დღის წესრიგი

48.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 25 - ხმით, წინააღმდეგი 5

ამ საკითხის განხილვისას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“თავმჯდომარემ დ. მჟავანაძემ განაცხადა, რომ ნუსხაში შეტანილი შეკვეთილში არსებული 2 -ჰექტარი მიწის ნაკვეთი არის ტყე-პარკი და მისი გასხვისება არ შეიძლება. თანამომხსენებელმა გ. ღურჯუმელიძემ განმარტა, რომ ეს ნაკვეთი წინა მოწვევის საკრებულოსაც ჰქონდა შეტანილი საპრივატიზაციო ნუსხაში, მაგრამ აუქციონი არ შემდგარა. იგი არ შედის სარეკრეაციო ზონაში, შეიძლება მისი გასხვისება და სერიოზული ინვესტიციის მოზიდვა. ამის შემდეგ დ. მჟავანაძემ ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბ. ივანიშვილს ბრალი დასდო შეკვეთილში მისი საკუთრების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის შევიწროებაში.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის პედაგოგებს მიულოცა პედაგოგთა საერთაშორისო დღე.

49.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30 - ხმით

საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ დასვა შეკითხვა-ხომ არ იგეგმება მუნუციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე ნაკვეთების საჯარო აუქციონით გასხვისება?- უპასუხეს, რომ ამ ეტაპზე არ იგეგმება.

50.3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.03.14.175), დაბა ნასაკირალის

ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.29.24.126), გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.06.25.408) და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.15.10.363) უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30 - ხმით.

51.4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30 - ხმით.

52.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ბექა თოიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 30 - ხმით.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დახურვის შემდეგ განცხადებები გააკეთეს: სოფელ ბახვის მცხოვრებმა ნ. ჯიშკარიანმა-რომლის აზრით მუნიციპალიტეტის სერვისცენტრში მუშაობისას გაუგებარი მიზეზით, 5 თვეა გაათავისუფლეს და არ უხდიან ხელფასს. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მ.ჩხიკვიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ბოლო ხანში საკრებულოს ყველა სხდომაზე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ცდილობენ

ჩაშალონ საკრებულოს სხდომების მუშაობა, მანაც მიულოცა პედაგოგებს საერთაშორისო დღე, უმრავლესობის წევრებს და მთლიანად პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელისუფლებაში მოსვლის 10 წელი, აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ურთულეს ვითარებაში უწევს მუშაობა, მაგრამ ღირსეულად უპასუხა გამოწვევებს, შესძლო ქვეყნისათვის მოსალოდნელი ომის თავიდან აცილება, სტაბილური ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, ისაუბრა იმ სიახლეებზე, რომელიც 2023 წლიდან იგეგმება-ხელფასების ზრდა საჯარო სექტორში, პენსიების ზრდა, 500- მდე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და სხვა. ხაზი გაუსვა ფრაქციის აქტიურ მონაწილეობას მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებაში და კონკრეტულად დაასხელა მათ მიერ წამოყენებული ინიციატივები: მიუსაფარი ცხოველების და პარკირების პრობლემების გადაწყვეტა, ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია, ცნობილი ბანერის „ მამული, ენა, სარწმუნოება“ აღდგენა და სოფელ შრომის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი